ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

„კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულერების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე“ რეკომენდაცია

საქმიანობის დამგეგმავი: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის სამინისტრო

საქმიანობის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი: მარტვილის მუნიციპალიტეტი

ანგარიშის წარმდგენი: შპს „ბაუ დიზაინი“

საქმიანობის შემსურულებელი: შპს გის და დისტანსიური ზონდირების საკონსულ-ტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“

საქმიანობის შესრულების ადგილი: კურორტი ლებარდე

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში -„ცენტრი“) მიმდინარე წლის 18 მაისს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან შემუსული წერილის (#01/1750) საფუძველზე, რომელიც ეხება შპს „ბაუ დიზაინსა“ და საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 03.04.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება #176-2018, კონკურსი NCNT180000003) კურორტ ლებარდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი ანგარიშის და განაშენიანების გეგმის პროექტის განხილვას და ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 27-ე მუხლის მე-7 ნაწილის და ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 6 მუხლის შესაბამისად, მომზადდა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების/შემარბილებელი ღონისძიებებისკენ

მიმართული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება დამგეგმავ ორგანოს მოუწევს პროექტის განხორციელების და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

აღსანიშნავია, რომ კურორტ ლებარდეს სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენისას (2019 წელს), ცენტრის მიერ გაცემული დასკვნის და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, სგშ-ს ანგარიშსა და განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა ძირითადი შენიშვნები და რეკომენდაციები, რის საფუძველზეც წარმოდგენილი დოკუმენტები რაციონალურად ასახავენ კურორტის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე (მშენებლობის ეტაპიდან დაწყებული ექსპუალატიის ეტაპის ჩათვლით) ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაძლო საფრთხეებს და მათთან ასოცირებული რისკების შემცირების და/ან პრევენციის ღონისძიებების გატარების მეთოდებს შესაბამისი ალტერნატივებით.

სგშ-ის ანგარიშის განხილვის ეტაპზე, ის საკითხები, რომლებიც მოითხოვდა დამატებით დაზუსტებას ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიმართულებით, ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე, შედგა შეხვედრა ანგარიშის წარმდგენ (ბაუ დიზანის დირექტორი) და საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან (საკონსულტაცო ცენტრ „გეოგრაფიკის" ექსპეტები). შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია კურორტ ლებარდეს განაშენიანების პროექტის და გეგმის მიხედვით, სამკურნალო-დასასვენებელი სივრცეებისა და ტურისტულ-ატრაქციული ტერიტორიების ზონირების ჩათვლით. აღნიშნულის გარდა, ცენტრმა მიიღო მონაწილეობა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. კურზუში გამართულ საჯარო შეხვედრაში და დააფიქსირა პოზიცია ჯანმრთელობის ზემოქმედების რისკების პრევენციის/შემარბილებელი ღონისძიებების მიმართულებით, რაც გათვალიწინებულ უნდა იქნას პროექტის განხორციელების ეტაპზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 თავის, 27 -ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების და ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 6 მუხლის შესაბამისად, ცენტრმა მოიწვია საექსპერტო კომისია, რომელმაც იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტებით მოწოდებული ინფორმაციის შესახებ, რის საფუძველზეც გაიცემა რეკომენდაციები ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ინდიკატორების გათვალისწინებით:

- **სასმელი წყლის ხარისხი და წყალმომარაგება**

  სასმელი წყლის საკითხი (წყლის დებიტი, სასმელი წყლის ხარისხი, სათაო ნაგებობების მოწყობა და ადეკვატური მომარაგება) უმნიშვნელოვანესია, ყველა განაშენიანების პროექტისათვის, და განსაკუთრებით ისეთი კურორტული ზონისათვის, როგორიც ლებარდეა. ამ მიზნით, აუცილებელია რეკომენდაციები

გაიცეს პროექტის განხორციელების ეტაპზე წყლის ხარისხის შემოწმების შესახებ და ადექვატური მომსახურების/მიწოდების გეგმის /სტრატეგიის შემუშავებაზე.

- **ნარჩენების მართვა**

ნარჩენების მართვასთან მიმართებაში ორი მიმართულებით არის აქცენტები გასაკეთებელი

ა. ჩამდინარე წყლების მართვა;

ბ. ინფექციური/სამედიცინო მომსახურების შედეგად წარმოქმნილი (სახიფათო) ნარჩენები.

დამგეგმავმა ორგანომ პროექტის განხორციელების ეტაპზე უნდა წარმოადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება სახიფათო ნარჩენების მართვა/განკარგვის საკითხები. ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ასახავდეს როგორც განაშენიანების/მშენებლობის, ასევე დასრულებული პროექტის ექსპლუატაციის ეტაპებზე ნარჩენების მართვის სათანადო გეგმებს და სტრატეგიას ნარჩენების მართვის კოდექსის გათვალისწინებით.

- **სამედიცნო მომსახურება და სამედიცინო პუნქტის მოწყობა**

სამედიცინო პუნქტის მოწყობასთან დაკავშირებით რეკომენდაციაა, პირველადი დახმარების სამედიცინო დაწესებულების მინიმალურო მოთხოვნების გათვალისწინება, რაც გულისხმობს დამატებით იზოლირებული ოთახის მოწყობას (გადამდები დაავადებების შემთხვევაში (იზოლატორი)). დამგეგმავმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს სამედიცინო მომსახურების პუნქტისთვის საჭირო მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება.

- **ლებარდეს მინერალური წყლის კონდიციის შესწავლა**

შესწავლილ უნდა იქნას დამატებით მინერალური წყლის კონდიცია პროექტის განხორციელების ეტაპზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №310/ნ ბრძანების „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად.

- **მინერალური წყლის ლებარდეს სანიტარული დაცვის ზონების დადგენა კურორტის და მის მიმდებარე ტერიოტორიებზე**

განსაკუთრებით ყურადსაღებია მინერალური წყლის სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა, შესაბამისად, დამგეგმავ ორგანოს მიმართ რეკომენდაციაა, რომ გაითვალისწინოს აღნიშნული პროექტის განხორციელების ეტაპზე.

დასკვნა:

ცენტრი, საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დადებითად აფასებს კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასების ანგარიშს და მთლიანად პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული და ეკონომიკური განვითარების წინსვლას მუნიციპალიტეტში.

აღნიშნული რეკომენდაციები, წყლის ხარისხის და კონდენციის, სანიტარიული ზონების დადგენის და ნარჩენების მართვის მიმართულებით, გათვალისწინებულ უნდა იქნას პროექტის განხორციელების ეტაპზე და შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა

და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი **ამირან გამყრელიძე**